**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)**
**დადგენილება №01-06-02/57**

ქ. თბილისი 23 ოქტომბერი 2023

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 11 ოქტომბრის №01-05-04/162 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 23 ოქტომბრის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე პროფესორ რევაზ სტურუას სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესი წარმოდგენილი სახით (იხილეთ დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**

**სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი** **დავით ჯაფარიძე**